სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-02/85

ქ. თბილისი 29 ივნისი 2026 წ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გლობალური აკადემიური ჩართულობისა და ინსტიტუციური ცნობადობის დეპარტამენტის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს წინადადება - უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში გლობალური აკადემიური ჩართულობისა და ინსტიტუციური ცნობადობის დეპარტამენტის შექმნის თაობაზე.
2. მოწონებული იქნეს გლობალური აკადემიური ჩართულობისა და ინსტიტუციური ცნობადობის დეპარტამენტის დებულებისა და უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დებულებაში ცვლილების შეტანის პროექტი (დანართი).
3. მოწონებული იქნეს გლობალური აკადემიური ჩართულობისა და ინსტიტუციური ცნობადობის დეპარტამენტის შექმნასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი უნივერსიტეტის სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში (დანართი).
4. წინადადება ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულის შექმნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით და წარმოდგენილი პროექტები დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**